სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/164

ქ. თბილისი

8 ნოემბერი 2021 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნტის და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათისა და საარჩევნო კომისიის №1 ოქმის (29.10.21), საქართველოს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოხსენებითი ბარათისა და საარჩევნო კომისიის №1 ოქმის (29.10.21), საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათისა და საარჩევნო კომისიის №3 ოქმის (29.10.21), ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათისა და საარჩევნო კომისიის №1 ოქმის (29.10.21), სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათისა და საარჩევნო კომისიის №4 ოქმისა (29.10.21), და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის №01-05-02/31 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2021 წლის 29 ოქტომბერს ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის სტუ-ის ენერგეტიკისა ფაკულტეტის ას. პროფესორ **თამარ წერეთლის** უფლებამოსილება 4 წლის ვადით.
2. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საბჭოს მიერ 2021 წლის 29 ოქტომბერს ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, **მარინე მღებრიშვილის** უფლებამოსილება 4 წლის ვადით.
3. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2021 წლის 29 ოქტომბერს ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ **ირინე მამალაძის** უფლებამოსილება 2021 წლის 17 ნოემბრიდან 4 წლის ვადით.
4. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2021 წლის 29 ოქტომბერს ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრების სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორ **გენადი იაშვილისა** და ას. პროფესორ **ზაზა სოფრომაძის** უფლებამოსილება 2021 წლის 17 ნოემბრიდან 4 წლის ვადით .
5. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2021 წლის 29 ოქტომბერს ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრების სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის. პროფესორების, **ნინო ნიშნიანიძისა** და **ალექსანდრე ტალიაშვილის** უფლებამოსილება 2021 წლის 17 ნოემბრიდან 4 წლის ვადით.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**